ტირაჟი 100

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

899.962-1
ქ-774

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მიხელიძე ეკატერინე

ეროვნული პრობლემატიკა XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ პოეზიაში

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

შემოსულია № 39
„31“ 10 2001 წ.

„4“ 161 197

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – მიშველაძე რევაზ
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. სიგუა სოსო,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10.01.10)

2. კუცია ნანა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი(10.01.01)

- 1830 -

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის „7“ XII „3“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.C№5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის „29“ „X“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /ნ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. XX საუკუნის 90-იანი წლები იმთავითვე იქცა თანამედროვეთა ყურადღების საგნად. უწინარესად, მისი ღრმა პოლიტიკური კატაკლიზმების გამო. საქართველო უამრავი ეროვნული პრობლემის წინაშე დადგა: ადამიანის პრობლემა, პატიოსნების კრიზისი, ამბიციურობა, თვითდამკვიდრების სინდრომი, პირველობისათვის ბრძოლა, პოლიტიკის გრძნობის დაკარგვა, რასაც თან დაერთო ჩვენი პატივმოყვარეობა, ურთიერთმტრობა... ეროვნული მოძრაობა ყველაზე დიდ პრობლემად აღიმართა ზღვაებრ აღელვებულ ქართველთა წინაშე. პრობლემათა მთელ რიგს დაემატა დაუპატიჟებელ სტუმართა მოძალება ქართულ მიწა-წყალზე და ჩვენი ძირძველი, ქართული ტერიტორიების გასხვისება. საქართველოს გადაგვარების, გაქრობის რეალური საფრთხე დაემუქრა...

ეროვნულმა მოძრაობამ ლიტერატურული მოძრაობაც გამოიწვია. ბუნებრივია, ზემოხსენებულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვა მწერლობაში. ქართული პოეზიის ლირიული ინტონაციები და ედემისებრი ჰარმონიულობა მღელვარე პათოსმა შეცვალა. ლიტერატურულ რემინისცენციებსა და ტრადიციულ თემებს შორის ეროვნულ პრობლემათა ნიაღვარი შეიჭრა და „პოეზია გახდა უფრო მკაცრი, პოლემიკური, პუბლიცისტური და სუსხიანი“ (დ. მჭედლური).

ეროვნული პრობლემები ანუ როგორც სოციალ-დემოკრატთა პარტიის ერთ-ერთი წევრი პეტრე გელეიშვილი ამბობდა, „საღელავი საკითხები“ გახდა ჩვენი ეპოქის, გნებავთ, XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პოეზიის დამახასიათებელი სტილი; სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა სადისერტაციო თემის – „ეროვნული პრობლემატიკა XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ პოეზიაში“ – აქტუალობა.

ვფიქრობთ, ეპოქის მტკივნეული საკითხების გამოხატვასა და თანამედროვე პოეზიის ეროვნული ასპექტით წარმოჩინებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა და ზნეობის სრულყოფისათვის.